საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS
FROM THE OCCUPIED TERRITORIES,
ACCOMMODATION AND REFUGEES OF GEORGIA

0177, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. 15ª
15ª, Tamarashvili str., 0177, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (995 32) 31-15-85
ცხელი ხაზი/Hotline: (995 32) 43-11-00
ფაქსი/Fax: (995 32) 31-15-96

www.mra.gov.ge

N 05-01/06/29162
06/12/2017

29162-05-01/06-2-201712061118

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოადგილეს
ბატონ თენგიზ აბაზაძეს

ბატონო თენგიზ,

თქვენი 2017 წლის 29 ნოემბრის N04/73803 წერილი პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ახორციელებს „საქართველოსოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის, „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესი“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს N320 ბრძანებისა და „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების პროცედურის, განსახლების კრიტერიუმების, ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის წარმოების წესის დამტკიცებისა და განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანების მიზნებისათვის პერსონალური მონაცემების, მათ შორის „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში“ დაცული შესაბამისი პერსონალური მონაცემების დამუშავებას. შესაბამისად, აღნიშნული ბრძანებებით გათვალისწინებული ღონისძიებების შემდგომი განხორციელებისათვის სამინისტრო საჭიროებს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაზე“ წვდომას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან“ ზოგიერთი ინფორმაციის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთვის მიწოდების შესახებ“ 2017 წლის 6 აპრილის ხელშეკრულების მე-7 მუხლის

მე-2 პუნქტის საფუძველზე, სამინისტრო თანახმა აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 1 (ერთი) კალენდარული წლით, 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ამასთან, გაცნობებთ, რომ სამინისტროში არ განხორციელებულა იმგვარი ადმინისტრაციულ/ორგანიზაციული და/ან საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ზეგავლენას ახდენს ამ ხელშეკრულების საგანზე, პირობებზე და/ან მიზნებზე.

პატივისცემით,

გრიგოლ გიორგაძე

მინისტრის პირველი მოადგილე

.